ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13260862**

თარიღი:**27/03/2026**

სტიქიის პრევენციის ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინასაპროექტო წინადადების მოწონების თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სტიქიის პრევენციის ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2016 წლის 06 ივნისის №249 დადგენილების შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნეს ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სტიქიის პრევენციის პროექტების ფონდის ფარგლებში, 2026 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი წინასაპროექტო წინადადებები დანართის შესაბაბისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.#60ა.)

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	2026 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	კატეგორია	სავარაუდო ღირებულება
1	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები	საყრდენი კედელი	239690,00
2	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქალაქ ახალციხეში მიქუტიშვილის ქუჩის მიმდებარედ მდ. ფოცხოვზე საყრდენი კედლის მოწყობა	საყრდენი კედელი	632217,00

საკრებულოს თავმჯდომარე- საბა კბილაშვილი